



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 2 23 0001777910



28/12/2023

**შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „მედიცინის“
ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე
წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ**

2023 წლის 6 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №1659647, 06/12/2023; ხარვეზის გამოსწორება - №1714882, 14/12/2023) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 1509522, 07/11/2023 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.


2023 წლის 22 დეკემბერს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28¹ - ე მუხლის პირველი, 27⁵ - ე მუხლის პირველი და 28³ პუნქტის პირველი პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე დებულების 28³ - ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. განსახილველად იქნას მიღებული შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №1659647, 06/12/2023; ხარვეზის გამოსწორება - №1714882, 14/12/2023) „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის №1777780 ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

